№ 115 ივნისი 10, ოთხშაბათი 1887 ივნისი 10, ოთხშაბათი № 115

ივერია

გაზეთი ღირს

თვეზე	მან. კ.	თვეზე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიქვაველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

ტფილისი, 9 ივნისი

ჩვენის გაზეთის №№ 112 და 113 ლაპარაკი ჩამოვაგდეთ ფრიტრედერობასა და პროტექციონობაზე, რომელნიც ორს სხვა-და-სხვა ნაირს სისტემას შეადგენს შინაგანთა საქმეთა წყობისა და მსვლელობისათვის. რადგანაც დღეს არც ერთი პუბლიცისტი არ არის, რომ რომელსამე ჟურნალსა ანუ გაზეთში ან ერთს, ან მეორეს სისტემას არ ურჩევდეს თავის მთავრობასა, ამიტომაც საჭიროდ დავინახეთ ცოტად თუ ბევრად გვცოდნოდა რაში მდგომარეობს ან ერთისა და ან მეორის არსება და ბუნება.

ამ ორსავე სისტემას ცალ-ცალკე დიდი ლიტერატურა მიუძღვის წინა; ბევრი რამ არის ერთსა და მეორეზედაც თქმული, მაგრამ ჩვენ ყოველს ამას ვერ გამოვუდგებით, რადგანაც სამეცნიერო ტრაქტატს არა ვწერთ. ამიტომაც ნუ დაგვემდურებიან, თუ ჩვენ მარტო მოკლედ ახსნას და განსაზღვრას მოვუნდებით თვითეულის სისტემისას.

ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის სიტყვისაგან free trade და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ჰნიშნავს აღებ-მიცემობის თავისუფლებას. მოძღვრება მეცნიერობისა, რომელიც ჰქადაგებს აღებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ საალებ-მისაცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელისამე კანონ-მდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას. ეს მოძღვრება იმაზეა დაფუძნებული, რომ თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპოვებელია და მისაწვდენი,—ჯერ იმის გამო რომ გახშირებულია და პერე—იეფია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფას-აწეული არ არის. მართალიც არის. ბაჟი დიდია, თუ მცირე განგებ ზედ-შეკეცილი გადასახადია და რამოდენადაც იგი დიდია, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა და ამ გზით საქონლის ფასი, რომელიც თავის საკუთარის არსების კანონებისაგან განისაზღვრება და დაიდგინება ხოლმე, ბაჟისა და სხვა რაიმე შევიწროების მეტ-ნაკლებობასაც უნდა ექვემდებარებოდეს და ეკითხებოდეს. სახელმწიფო, რომლის მიზეზი და საბუთი არსებობისა სხვა არა არის-რა, თუ არ მკვიდრთა კეთილ-დღეობისათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰცდილობდესო, ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საქონელი ადვილად და იეფად მოსაპოებელი იყოს ყოველის მკვიდრისათვისაო, რადგანაც მკვიდრი-კაცი მით უფრო ეკონომიურად ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მთლად ჰშოულობს სარჩო-საბადებელსა და რამოდენადაც უფრო ბევრს საჭიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს ადვილად და გაუჭირებლადაო.

ამ მოძღვრებამ ფეხი აიდგა ევროპაში ადამ სმიტის*) მეცადინეობითა. ეგ ადამ სმიტი მამა-მთავრად ითვლება საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერობისა. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ეს მოძღვრება თმას ყალხზედ აუყენებდა კაცობრიობას და კაცობრიობის სვე-ბედის გამგებელთა, რომელთაც ხშირად შეჩვეული ჭირი ურჩევნიათ შეუჩვევარს ლხინსა. მით ამ ადამ სმიტის მოძღვრებას ბევრი არა დააკლდა-რა და თან-და-თან უფრო ძლიერ ფეხს იკიდებდა. ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებში ინგლისში შესდგა კიდეც ცალკე დასი თავისუფალის აღებ-მიცემობის მომხრეებისა. სახელოვანებმა ინგლისელებმა კობდენმა, ბრაიტმა და სხვებმა შეადგინეს 1831 წელსა საზოგადოება, რომელსაც ეწოდებოდა ანტიკორნლაუ ლიგი და რომელნიც თავისუფალ აღებ-მიცემობის მოძღვრების ძალით ჰთხოულობდნენ სამზღვარ-გარეთიდამ შემომავალს პურს ყოფილი ბაჟი სრულებით აეხსნას. ეს პირველი იერიში იყო პროტექციონობაზედ მიტანილი.

ამ თავისუფალ აღებ-მიცემობის მოძღვრებამ იმოდენად იმუშავა და იმოდენა თანა-გრძნობა მოიპოვა, რომ როცა ინგლისში მთავარ-მინისტრად გახდა სერ რობერტ პილი 1841 წელსა და მასთან ერთად მინისტრებად იყვნენ ველლინგტონი და აბერდინი, მაშინ მაგ სამეცნიერო თეორიამ თვითონ ცხოვრებაშიც გზა გაიკაფა. ერთი უდიდესი სამსახური, რომელიც რობერტ პილმა გაუწია თავის ქვეყანასა, ის იყო, რომ 1846 წელს გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა მცხოვრებთა სახსრად და საკეთილ-დღეოდ. მისისავე მეცადინეობით გაუქმდა ეგრედ წოდებული „ზღვათ-მსვლელობის კანონ-მდებლობა კრომველისა“, რომელიც ასე თუ ისე ჰხუთავდა აღებ-მიცემობის თავისუფალს მიდენ-მოდენასა.

მაშინ ამ ამბავს მიეგება მთელი ევროპა როგორც ძლევა-მოსილობას, გამარჯვებას ლიბერალობისას და მთელი ქვეყანა აქებ-ადიდებდა ამ ძლევა-მოსილობის და გამარჯვების ჩამდენს სერ რობერტ პილსა, რომელმაც თვითონ ინგლისში ამით ისეთი სახელი მოიპოვა, რომ თაყვან-საცემელი გახდა უმრავლესობისაგან. ამ მოძღვრებას მოსარჩლენი გამოუჩნდნენ არა მარტო ინგლისში. საფრანგეთშიაც ბევრი ცოტად თუ ბევრად სახელ-განთქმულნი მეცნიერნი მიემხრნენ ამ მოძღვრებასა; მაგალითებრ, ბასტია, შევალიე, გარნიე პაჟეს და სხვანი. დროთა მიმავლობაში ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი გაითქვა, რომ ერთა-შორისმა კანონ-მდებლობამაც-კი შეიწყნარა და სათავედ დაუდვა ყოველს თვის მოქმედებასა. ამ მოძღვრების საფუძველზედ შესდგა 1861 წ. აღებ-მიცემობის კონვენცია (ხელ-შეკრულობა) ინგლისისა და საფრანგეთს შორის და 1865 წ. გერმანიისა და საფრანგეთს შორის.

---

*) ადამ სმიტი, სახელოვანი ინგლისელი პოლიტიკო-ეკონომი, გარდაიცვალა 1790 წ.

ახალი ამბავი

*** ქალაქ ტფილისში ჩვეულებრივი სიცხეები დაიჭირა. გუშინ, მართალია, ქარი ჰქროდა, მაგრამ ამ ქარმა ჰაერი ვერ გააგრილა; მტვერს-კი დიდს აყენებდა ქუჩებში და თვალებსა სთხრიდა ხალხსა.

*** ჩვენს ქალაქს პირველ იანვრიდამ 1-ლ თიბათვემდე დაუხარჯავს 434,871 მან. 64 კაპ. ამავე ხნის განმავლობაში შემოსულა 477,799 მან. 4 კაპ.

*** დღეს, 10 ივნისს, მოელოდებიან მთავარ-მართებლის თანაშემწის დაბრუნებასა ტფილისში.

*** არტაანისაკენ აპრილის განმავლობაში უსაზრდოობის გამო დახოცილა 4,492 სული ცხვარი და ბატკანი.

*** აჯი-ქაბულის რკინის-გზის სადგურზე მეისრე ალექსი სალიკიძისათვის მატარებელს ერთი ფეხი მოუტეხნია და მეორე ფეხის თითები მოუწყვეტნია. საცოდავი განწირულის ხმით ჰყვიროდა, მომკალით ბარემ და ნუღარ მტანჯავთო.

ფელეტონი

ხალხური ლექსი

შეკრებილი ტერ-სტეფანოვის მიერ

შავ-ნაბადელსა მიქებდნენ,
ცუდსა და ავის ზნისასა;
ორნივ იქ შევიყარენით,
საზღვარსა მუხრანისასა;
პურსა მთხოვდა და ვაჭმევდი,
ვურჩევდი ქაბაბისასა;
ხორცსა მთხოვდა და ვაჭმევდი,
ვურჩევდი კაკაბისასა;
ღვინოსა მთხოვდა, ვასმევდი,
ვურჩევდი ბადაგისასა;
ცოლი მთხოვა, არ მივეცი,
ჩემა ვარჩიე სხვისასა.
ლეკურსა ხელი მოვისვი,
ნაბოძებ ცოლის ძმისასა,
ცხენი და კაცი გავწყვიტე,
წვერმა უწია ქვიშასა;
ერთი იმანც გამომკრა,
რისხვასა ჰგავდა ღვთისასა:
იმდენი კიდევ დამკალდა,
ცოლი გავგზავნე ძმისასა,
ორნივ იქ დავიხოცენით
საზღვარსა მუხრანისასა.

რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი

(ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“ [1].)

წინა წერილებში [2]) ჩვენ ვსთქვით, რომ ასონი (ანბანი) არიან პირობით მიღებულნი ნიშანნი ადამიანის ხმების აღსანიშნავად მოგონილნიო; ვსთქვით ისიც, რომ ერთ ჯგუფის ან ტომის ერს რაოდენი ხმა და ბგერაცა აქვს, იმ ტომის ერისთვის საჭიროა იმდენივე ნიშანი (ასო) ყოველ ხმა-ბგერის აღსანიშნავადაო. მაგ., ბერძენთ აქვთ 24 ბგერა-ხმა და ამიტომ მათი ანბანიც შესდგება 24 ასოთაგან; რომაელთ 25 და იმათი ანბანი შეიცავს იმდენსავე ასოსა; რუსებს 35 და იმათთვისაც საჭიროა 35 ასო; სომეხთ 37, ფრანგთ 25 ასო, და სხვ. ქართველთ ძველ დროიდგანვე შეუთვისებიათ 38 ხმა-ბგერა და ამიტომაც ქართულ ანბანის შემადგენელს მოუგონია ჩვენთვის იმდენივე ასო, რამდენიც ხმა-ბგერა აქვთ ქართველთა, ესე იგი 38-ო.

ყველა ანბანები რომ შევადაროთ, შევიტყობთ, თუ რა-და-რა ხმები აქვთ საერთო, საზოგადო ყველა იმ ანბანებსა და რა-და-რა ხმები აქვთ კერძოობითი, ესე იგი კუთვნილი რომელისამე ერთის ენისა ანუ ერისა. მაგალ., თითქმის არარსებობს ისეთი ერი, რომ მის ანბანში არ იყოს ხმა ა, ი, ო, უ და სხვ. პირ-იქით, ბევრია ისეთი, რომ არა თუ არა აქვს ხმა ღ, ყ, ძ, წ, ჭ, ჯ, ჳ, თ, ფ, კ და სხვ., არამედ არც-კი აქვს ნიჭი, რომ ეს ხმები გამოსთქვას. მაგ., ამ გვარ ხმების გამოთქმა ან სრულიად არ შეუძლიანთ, ან ფრიად უჭირდებათ გამოსთქვან ევროპელთა უმეტესს ნაწილს.

აქედგან გამოდის ის დასკვნა, რომ ჩვენ ქართველთ თუ ჩვენებური ანბანი არა გვქონოდა და უცხო ტომთა ანბანებით გვეწერა ჩვენი სიტყვა-პასუხი, მაშინ მრავალი სიტყვა და ხმა იმ ანბანებით ზედ-მიწევნით, უტყუარად ვერ გამოითქმოდა და ბევრი სიტყვა დაჰკარგავდა თავის ნამდვილ მნიშვნელობასა და დედა აზრსა. მაგ., ამ შემთხვევაში რომ რუსულის ანბანის შემწეობით დაგვეწერა სიტყვა ყაყანი, გამოვიდოდა კაკანი, რადგან რუსულ ანბანში ასო ყ არ არსებობს; ამისავე მზგავსად ცნება წილი შეიცვლებოდა ცილად, ჭორი—ჩორად, ღორი—გორად, თითი—ტიტად და სხ.

ამისთანა მაგალითებს ჩვენ აღარ გამოვეკიდებით. აქედგან ვხედავთ, რომ ყველა ერებს საერთო, საზოგადო ხმებიც ბევრი აქვთ და კერძოც, ესე იგი კუთვნილი განსაკუთრებით ერთის რომელისამე ენისა, ან და ორიოდ-სამიოდესი ერთად.

რა გვარი საერთო, საზოგადო ხმები აქვთ ყველა ენებს, გარეულებისაა იგი ენა თუ განათლებულებისა?

გამოჩენილი მეცნიერი ტეილორი ამბობს [3]), რომ ყველა ენებს საზოგადო ხმები აქვთ ისეთნი, რომელნიც ცნობილნი არიან შორის-დებულად და რომელნიც კაცმა შეითვისა ბუნების მიბაძვითაო, ესე იგი მისაბაძავი ხმებიო. ეს ორ-გვარი ხმა (შორის-დებული და მისაბაძავი) შეისწავლებ-შეიგნება ხოლმე არა შთამომავლობით (მამა-პაპათაგან) და არა უცხოელთაგან, არამედ ადამიანს უსისხლხორცდება, ეთვისება ბუნებიდამაო და ამიტომაც ამისთანა ხმები, თითქმის რომ არსებობენ ყველა ენებშიო. მაგ., შორის-დებულნი: ახ!, ოხ!, უხ!, ეხ!, სს! და მისაბაძავნი: გრრ! ფრრ! გუგუ! და სხ. საერთონი, საზოგადონი არიან ყველა ენებისათვისაო.

ტეილორი ხმების ამ გვარ მგზავსებას არა სჯერდება. იგი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ ადამიანმა ამ შორის-დებულებზედა და მისაბაძავ ხმებზედ აიდგა ენაო და აქედგან, ენის ამ პირველ საფეხურიდამ, დაიწყო წარმატება და გავრცელება ენისაო. აქ მოჰყავს თომა აკვიტანელის თქმულება, რომ სახელ-წოდება ყოველის საგნისა უნდა მოიძებნოს იმავე საგნის ბუნებაშიო. მართლაცა და იმ სირს, რომელიც მუდამ გაიძახის გუგუ!, ქართველთ დაარქვეს გუგული, ყვა-ყვა!-ს მძახელს ყვავი, ოფ-ოფ!-ას მთქმელს ოფოფი, ფრრ-ფრრ!-ით მფრინავს—ფრინველი, ბზუ-ბზუ!-ით მიმავალს მწერს—ბუზი, ჩხრიალით ჩამომავალ წყალს ჩანჩქერი ანუ ჩხრიალა, რახრახით მიმდინარე ნაკადულს—რახრახა. ყვირილით მიმავალს—ყვირილა, მტკნარად (მდორედ, ნელიად) მიმავალს-კი მტკვარი და სხ.

ასე რომ ტეილორის აზრით სულ პირველ ხანში ნორჩი ადამიანი ჩჩვი-

---

[1] იხ. „ივერია“ 1881 წ. № 10.

[2] იხ. ჩვენი წერილი „როგორ მოიგონეს ანბანი“, „ივერია“ № 87 და 88, 1887 წ.

[3] იხ. Первобытная культура, ტ. I, გვ. 151—153, ედ. ტეილორისა.

⁂ განჯისაკენ საშუალო მოსავალია წელსაო. მაისის გასულს იქით კიდეც გაუჭრიათ ჰირნახული. ერთმა მემამულემ მაისის გასულს გაჰყიდა კიდეც რამდენიმე კოდი პური წრევანდელის მოსავლიდამაო, ფუთი 91 კაპ.

⁂ ქართლში, გორს ზემოდამ, დაუწყიათ ქერების თიბვა და მკა. ამ ორის კვირის უკან ყანებიც გაიჭრება.

⁂ ხონიდამ გვწერენ: 1 იენისს, ღამე, წაეკიდა ცეცხლი ხონში დუქნებსა და უცბად გადაიწვა ათი ხის დუქანი. ამ ათს დუქანში, როგორც ამბობენ, მხოლოდ ერთსა ჰქონდა დაზღვეული თავისი დუქანი და საქონელიო.

⁂ მთიულეთიდამ გვწერენ: სოფელს მლეთში მაისის 27-ს გიორგობასა დღესასწაულობენ ხოლმე ყოველ წელს. ხალხი ბლომად იკრიბება სხვა-და-სხვა მხრიდამ და წელს-კი ერი ნაკლებად დაესწრო. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ „ხასტავა“ გამართეს ფასანაურში და ხალხს დიდს ფულს ახდევინებენ: ურემზე გლეხი იხდის შვიდსა თუ რვა აბაზსა. ამ გადასახადს ძალიან უჩივის აქაური ხალხიო.

⁂ სოფელ საქარიდამ გვწერენ: გვალვისაგან შეწუხებულს საქარლებს აუსრულდათ ნატვრა და ოთხს იენისს მოუვლინა ღმერთმა წვიმა. მაგრამ კარგი წვიმა უნდა მოვიდეს აქ, რომ საქარის მიწა დაალბოს, 4 იენისის წვიმამ-კი ოდნავ დაალბო მიწა. მაინც ეს წვიმა ძალიან მოუხდა ყველაფერს და ხვნასაც მიჰყვეს ხელიო.

⁂ იმერეთიდამ გვწერენ: იშვიათი წელიწადი იქნება ისეთი, რომ ჩვენში მშვიდობიანად ჩაიაროს: ან კაცი უნდა მოჰკლან, ან დასჩეხონ საძაგლად და ან თავი უნდა დაირჩონ. მაგალითად, შარშან ორმა კაცმა თავი დაირჩო, ერთი იყო გვარად ჯუღელი და მეორე ორჯხელაშვილი. წელს კიდევ 6 იენისს ერთმა გლეხმა, გვარად ფერაძემ, სოფ. ზედა-საქარაში მცხოვრებმა, დაირჩო თავი. ეს კაცი ცოლშვილიანი იყო და ამასთანავე ხანში შესულიცა, ასე 55 წლისა იქნებოდა.

⁂ გურიიდამ გვწერენ: ვინ არ იცის, რომ საზოგადოდ გურია და განსაკუთრებით მისი დედა-ქალაქი ოზურგეთი ძალიან შეწუხებულია ქურდებისაგან, თუმცა სამაზრო მთავრობა ბევრსა სცდილობს აქ ქურდობის მოსპობას. როგორც ოზურგეთში მიამბეს, ამ ქალაქს კარგა ხნის განმავლობაში დიდ ზარალს აძლევდა თურმე თავისის ავ-ხელობით ერთი გამოჩენილი ქურდი გ. პ—შვილი, რომელიც, ასე გასინჯეთ, ღამ-ღამეობით ქალაქის მცხოვრებლების სახლებსაც-კი სტეხავდა და ისე ქურდობდა; მაგრამ ამ ბოლოს დროს ქალაქის პოლიციას დაუჭერია ეს კაცი. აი საქმე როგორ ყოფილა. ამას წინად, ღამის თერთმეტ სათზედ, ეს ავ-ბატონი აპარულა ოზურგეთის ეკლესიის მღვდლის სახლის აივანზედ, სადაც მისი ანაფორა კიდებულა, და როგორც დაუვლია ხელი ანაფორისათვის წასაღებად, ამ დროს მღვდლის მეუღლეს ქურდის ფაჩა-ფუჩი გაუგია (მღვდელი შინ არ ყოფილა), უცებ გამოვარდნილა სახლიდგან და ქურდისთვის შეუტევია: გაჩერდი, თორემ მოვიდა ფიშტო შიგ გულშიო. ქურდი შიშისაგან გაჩერებულა. გულადს ფოფოდიას მოუვლია ხელი ქურდისთვის და იქვე ახლო მედუქნესთან მიუყვანია პოლიციაში წასაყვანად. მედუქნესაც მეზობლების შემწეობით ქურდი პოლიციაში მიუყვანია და სატუსაღოში დაუპატიმრებიათ. ამ ქურდს ბევრი კარგი ქალაქში დაკარგული ნივთები გამოსჩენია. ღმერთმან დაუმადლოს ხსენებულს გულადს და გამბედავს ფოფოდიას ამ საქმისათვის.

⁂ ქართლიდამ გვწერენ: სოფელ ხიდისთაველებს ძალიან გვიხაროდა, რომ ჩვენი ვენახები საკმაოდ მსხმოიარენი იყვნენ, მაგრამ სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. 30 მაისს, ღამის 9 საათზე, უცებ მოსულმა სეტყვამ და ამასთან საშინელმა ქარიშხალმა შესამჩნევად წაგვიხდინა ვენახები. წრეულ სასმელი ღვინო თუ მოგვივა, თორემ გაყიდვით-კი ვერაფერს გავყიდით. ეს მით უფრო სამწუხაროა ჩვენთვის, რომ თითქმის მთელი ხიდისთავი ვენახების მოსავლით სცხოვრობსო.

ნარევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალი „Русская Старина“ სწორედ რომ ძველის ჭორების და ამბების ჟურნალია. ყველა ხავს მოკიდებულს, უსაქმო ბებრუცანას თუ-კი წარსულში უნახავს და გაუგონია რამე, კალმისთვის ხელი მოუკიდნია და თავის კალმის ნაწარმოებით ართობს მკითხველებს. ამ ნაწარმოებს უმეტესს ნაწილად დაძველებულის, აშმორებულის სუნი ასდით და ხან-და-ხან თუ შეჰხვდებით რაიმე საყურადღებოს, ისიც უთუოდ სასაცილოს. აი ერთი ამისთანა ამბავი დღესაც შეგვხდა ერთს მოხუცის მასწავლებელის წერილში, რომელიც „Рус. Стар.“-ში იბეჭდება.

ავტორი მოგვითხრობს, სხვათაშორის, ერთს ახირებულს მეცნიერზე, რომელიც მე-50 წლებში პოლტავის კადეტის კორპუსის დირექტორადა ყოფილა. ბ-ნი დირექტორი მეცნიერებში თავს იდებდა, საცა არა ჰკითხავდნენ, იქ წაეჩრებოდა თურმე, თუმცა ცოდნაშიაც-კი ძალიან ხელ-მოკლედ ბრძანებულა. და აი ერთხელ ასეთი სასაცილო ამბავი მოჰხვდია.

ერთხელ ფიზიკისა და ბუნების-მეტყველების მასწავლებელიო, მოგვითხრობს ავტორი: უკითხავდა კადეტებს ცის მნათობებზე და, სხვათა შორის, კუდიან ვარსკვლავზედაც ჩამოაგდო ლაპარაკი. ამ დროს კლასში დირექტორიც იყო. ვერ მოითმინა მოუსვენარმა მეცნიერების მოყვარე დირექტორმა და ჰკითხა თურმე ერთს მოწაფეს:

— იცით რა არის კუდიანი ვარსკვლავი?

— როგორ არა,—უპასუხა მოწაფემ: აი ეს-ეს არის მასწავლებელმა აგვიხსნა, რომ კუდიანი ვარსკვლავი ცდომილი ვარსკვლავიაო.

— სტყუი!—სთქვა დირექტორმა: ვის უთქვამს შენთვის მაგისთანა სისულელე? კუდიანი ვარსკვლავი — მახარებელია, მოციქული, ზეცით მოვლენილი. და იცი სად არის მუდმივ ეგ ვარსკვლავი? ზეცასა შინა!“—სთქვა ეს და გავიდა თურმე კლასიდგან.

იგივე დირექტორი ერთხელ კიდევ იმავე ბუნების-მეტყველების მასწავლებლის გაკვეთილზე შესულა. მასწავლებელი ხვლიკებზე ელაპარაკებოდა. დირექტორმა აქაც ვერ მოითმინა, რომ თავისი ცოდნა არ გამოეჩინა, და ჰკითხა მასწავლებელს:

— ორთავიან ხვლიკებზე-კი არა გითქვამთ-რა?

— როგორ ორთავიანს ხვლიკებზე? უკაცრავად, მე მაგისთანა ხვლიკები არ გამიგონია.

— რას ამბობთ, განა არ იცით, რომ კავკასიაში არის ორთავიანი ხვლიკები? მე თითონ ჩემის თვალით მინახავს.

აი, ბატონებო, პოლტავის დირექტორს როდისა სცოდნია, რომ ამ ჩვენს ქვეყანაში რაღაც უცნაური ორთავიანი ქვემძრომი ყოფილა! ჩვენ-კი მუდამ აქ ვცხოვრობთ და არავის გვინახავს ეს უცნაური ცხოველი! საკვირველი არიან საქმენი შენნი, უფალო!...

* *

ჰკითხულობ და არა გჯერა, როდესაც გაზეთებში შეგხვდება ხოლმე, თუმცა ძრიელ იშვიათად-კი, ასეთი ამბავი, რომელსაც ვარშავის გაზეთები მოგვითხრობენ. აი რა ამბავია:

ერთს მამულის პატრონს კერძო კაცისათვის მამული დაუგირავებია ოთხას თუმნად. მემამულეს საქმეები უკუღმა დასტრიალებია და ვალი ვადაზე ვერ გადუხდია. ფულის პატრონს ყელში წაუჭერია და უთქვამს: დამიბრუნე ჩემი ფული, თორემ მამულს გაგიყიდიო. მამულის პატრონი აქეთ ეცა, იქით მიაწყდა, მაგრამ ვერა გააწყო-რა, ფული ვერ იშოვნა. ფულის პატრონსაც ეს უნდოდა, რადგან ჰსურდა დაგირავებული მამული ჩალის ფასად ხელში ჩაეგდო. შეიტანა საჩივარი სასამართლოში მოვალეზე და მამული გასასყიდად დაანიშვნინა. ვაჭრობის დღეს სასამართლოში შემთხვევით დაესწრო ვიღაც მადლიანი კაცი, გვარად ლისკოვაცკი. ლისკოვაცკის უამბეს ამ საქმის გარემოება და საბრალო მოვალეს უბედურება. ლისკოვაცკის სიტყვა არ უთქვამს, ამოუღია ჯიბიდგან ოთხასი თუმანი, შეუტანია სასამართლოში და ვაჭრობა შეუყენებია.

მამულის პატრონისთვის რომ შეუტყობინებიათ ეს ამბავი, მისულა უცნობ მოკეთესთან და უთქვამს:

მამული თქვენია, ამას იქით მე ჩემად ვეღარ ჩავთვლი; რაც თქვენ საქმე ჩაიდინეთ, მე ჩემს სიცოცხლეში ვეღარ დავივიწყებო.

არა, მე თქვენს მამულს ვერ დავეპატრონები და ვერ დავეპატრონები იმიტომ, რომ მე ნება არა მაქვს ახალის კანონის ძალით, დასავლეთს გუბერნიებში მამული შევიძინოვო, უპასუხნია ლისკოვაცკის.

რაც შეეხება ჩემის ფულის დაბრუნებას,—განაგრძო თურმე ისევ: ნურც იმაზე შესწუხდებით; როცა შეიძლოთ, მაშინ გადიხადეთ ჩემი ვალიო.

განა დასაჯერია ეს ამბავი? განა თითით საჩვენებელი არ არის ამისთანა ღვთისნიერი კაცი, მეტადრე ეხლანდელს დროში, როდესაც კაცი რომ წყალში იხრჩვებოდეს, ხელს საშველად არავინ გაუწვდენს?!..

უცხოეთი

ბოლგარია. „Journal des Débats“-ი ამბობს: ლონდონის საპოლიტიკო წრეებში ხმა გავრცელდა, რომ გერმანიამ დიდთა სახელმწიფოთ შემდეგი წინადადება მისცა ბოლგარიის გამწვავებულის საქმის დასაბოლოვებლად: ვიდრე მთავარი იქმნას ამორჩეული ბოლგარიის ტახტისათვის, ამოვარჩიოთ ამ ქვეყნისათვის ვინმე რეგენტად და ნება მივცეთ

ლის ყრმასავით თვის გრძნობასა, სურვილსა და შთაბეჭდილებათა გამოსთქვამდა ხოლმე თითო-ოროლა ხმით (ერთ-მარცვლოვანად), მაგალ., ასრე: აჰ! იჰ! ოჰ! ვაჰ! ვიშ! სს! და სხვანი. თან-და-თან, საუკუნით-საუკუნე ეს ერთმარცლოვანი ხმები გადაება კაცმა და ისწავლა ლაპარაკი, ვაჰ-საგან წარმოსდგა ცნებანი: ვაჰმე, ვაჰება, ვაჲ-ვაჲ და სხ. ოჰ-საგან: ოჰხვრა, ოჰ-ოჰ, ვოჰხრავ და სხ., სს-საგან: სუ და სხ.

მაგრამ ყველა ენები ასრე არ განვითარებულან. არიან ეხლაც გარეულნი, რომელთა ენა თითქმის ისევ პირვანდელ წერტილზედ დაშთენილა. იმათი ხმები და ლაპარაკი შესდგება იმავე შორის-დებულებისა და მისაბაძავ ხმებისაგან. ერთის შეხედვით მათი მეტყველება ნადირთა ღრიალს, ფრინველთა სტვენას, ჩანჩქერთა ჩხრიალს და ტყეთა შრიალსა ჰგავს.

სხვა ენებმა-კი,—რადგან ერთის წყაროდგან (შორის-დებულებისა და მისაბაძავ ხმებიდამ) წამოვიდნენ და წარმატებაში შევიდნენ,—თვის წინსვლაში ბევრად თუ ცოტად დაიცვეს ნათესაობა და ერთ ნაირ ფესვისაგან ხშირად ერთ ნაირის ცნების აღსანიშნავი სიტყვები წარმოსდგნენ. მაგ., ჩვენებურს სიტყვას „მამა“ [4]) ამ ნაირისავე მნიშვნელობით ხმარობენ ბრიტანიის კოლუმბის ინდოელები, კუნძულის მეანგის მცხოვრებლები და სხ.; ზანგების ენაზედ ნჯამ ჰნიშნავს ჭამას; ინგლისურად კუკკო—ჰქვიან გუგულს, საინგილოს მცხოვრებნიც ამავე ფრინველს კუჰკუს ეძახიან; სანსკრიტულად ყაყა ჰქვიან ყვავს; იმავე ენაზედ ნანა აღნიშნავს დედას. ინგილოებიც დედას ყრმობაში უწოდებენ ნანას. აქედგანვე ალბად წარმოსდგა სახელ-წოდება საკვნო სიმღერისა „ნანა“, რადგან დედა თავის შვილს ნანინას თქმით აძინებს ხოლმე. მით უმეტესს ეს ასე უნდა იყოს, რომ ინგლისელები „ნანას“ ძიძას უწოდებენ. სანგირულად და მალალაზურად ნინა ჰნიშნავს დედას, ინდიურად-კი ქალსა, ესპანიურად ნინა, ნინო აღნიშნავს ყმაწვილსა, იტალიურად ნინნა—პატარა ქალია, ნინნარ აკვნის გარწევა. ამას გარდა ფრიად საინტერესოა კიდევ ცნება არურუ, რომელიც კეჩუელების ენაზედ ჰნიშნავს დაძინებასა. ჩვენში არსებობს სააკნო პატარა ლექსი და ამ ლექსში გვხვდება სიტყვა არურუ, რომლის აზრი მე ვერავინ ამიხსნა. ეხლა-კი ცხადია, რომ ჩვენი არურუც ჰნიშნავს დაძინებასა. აი ეს ლექსი:

არურუ [5]) დარეჯანსას,
გარედ გამოსდგამს ჯარასა;
შინ რომ ყმაწვილი ტიროდეს,
გარედან ეტყვის ნანასა.

ამ ლექსს თან მოსთქვამს და თან აკვანს გაჩქარებით არწევს ხოლმე ძიძა.

თუმცა მრავალ ენებში შენახულა საერთო სიტყვები ერთის რომელისამე ცნების აღსანიშნავად, მაგრამ მიუხედავად ამისა უფრო მეტია იმისთანა მაგალითი, რომ წინად საერთოდ ყველა ენებში გავრცელებული სიტყვა საუკუნეთა განმავლობაში შეცვლილა და გადასხვაფერებულა. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ქართულის ენიდამ. ინგილოები გუგუ-ს მაგიერ ამბობენ კუჰკუ-ს და გუგულს უწოდებენ კუჰკუს. ამ ნაირადვე მოლაღური აქ იწოდება „თუთა-ბალიად“ და ინგილოები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ფრინველი „ბიჭო-გოგიას“-კი არა, „თუთა-ბალიას“ გაიძახისო. შინაურ ფრთოსანთ (წიწილებსა და ქათმებს) ინგილოები უძახიან ასრე: „წიგიჰ-წიგი, ჰუ-ჰუ!“, ქართლ-კახეთში-კი ჯუ-ჯუო! მეგრულად კაცს ჰქვიან კოჩი. რომელი მართალია ყველა ამ ცნებათაგან და რომელი უფრო უღრმესს დროს ეკუთვნის, ამის თქმა ეხლა ადვილი არ არის და ამ ხელად ჩვენთვის არც საჭიროა, რადგან აქ ჩვენ ამ მაგალითების დასახელებით მხოლოდ გვინდოდა აღგვენიშნა ის გარემოება, თუ ერის მეტყველებაში რა ნაირად იცვლება პირვანდელი სიტყვა და ამის გამო რა გვარად ძნელი ჰხდება მათი ახსნა. ამის მიხედვით, ვინ იცის რამდენი სხვა სიტყვებიც არის, რომ ეხლა მათი ახსნა ჩვენ არ შეგვიძლიან და წინად-კი იგინი ადვილად გასაგებნი იყვნენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ არა თუ კერძოდ მარცვლები და სიტყვები იცვლებიან დროთა განმავლობაში, არამედ მთელი ენაც. არის აზრი, რომ ყველა აწინდელი ენანი წარმოსდგნენ ისტორიულ ხანის უწინარეს დროებში ერთის ენისაგანაო. ეხლა მთელქვეყანაზე არსებობს 1.000-მდე ენა და ყველა ენაში 1.000 ფესვი სიტყვა რომ ვიანგარიშოთო, ამბობს „Potti“ [6]), მაშინ ყველა ენებში იქნებოდა 1.000.000 საფესვო სიტყვაო; და თუ ვიფიქრებთ, რომ ის წინანდელი, მამათ-მთავარი ენა-ენათა აგრეთვე მდიდარი არ იქნებოდა და შეიცავდა არა უმეტესს 1.000 ფესვისა და ეს ათასი ფესვი რომ თანასწორად გავანაწილოთ ეხლანდელ ენებზე, მაშინ ყველა ახლანდელ ენას შეჰხვდება თითო სიტყვაო. და ესრეთი გავლენა იმ ძველის ენისა ახალ-ენებზედ ხომ ცვარია ზღვაშიო!

ეს რომ ითქმის მრავალ-ენათა შესახებ, ითქმის კერძოდ რომელისამე ტომის ენის შესახებაც. არის მრავალი მაგალითები, რომ ერთის რომელისამე ტომის ენაც სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა მიზეზით იცვლება, ჰშორდება იმავე ტომის პირვანდელ, ძველს ენას. ასრე, მაგ., სლავიანურ ენიდამ წარმოიშობნენ აწინდელი რუსული, პოლშური და ბალკანეთის მკვიდრთა (სლავიანთა) ენანი; ძველის რომაულიდამ წარმოსდგა იტალიანური, ფრანგული და სხვანი. ბერძნულიდამ (ძველიდამ) ახალი ბერძნული. ამ გარემოებას ვერ გადარჩენილან სომხური და ქართული ენებიცა.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

[4]) იხ. Первобыт. культура, ტ. I, თ. მეექვსე, ედ. ტეილორისა.

[5]) შეიძლება რომ ამ სიტყვიდამვე ამავე წარმოსდგა ჩვენებური რული.

[6]) უსლარი, გვ. 50.

ამ რეგენტს, რომ დაითხოვოს ეხლანდელი სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა და სამსახურიდგან გადააყენოსო. ოსმალეთს გამოუცხადებია თავის მხრივ, რომ ყოველს დიდთა სახელმწიფოთა სურვილს დაეთანხმები, ხოლო თუ ეს სურვილი არ ეწინააღმდეგება ბერლინის ხელ-შეკრულობასა და არ დაარღვევსო. ლონდონის სადიპლომატო წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ ძნელად თუ რუსეთმაც ისეთივე წინააღმდეგობა გამოუცხადოს ინგლისისა და ოსმალეთის შორის ხელ-შეკრულობის დამტკიცებას ეგვიპტის საქმის გამო, როგორისაც საფრანგეთი გაუწევსო. როგორც სჩანს, რუსეთისა და გერმანიის შორის რაღაც მოლაპარაკება და პირობაა ფარული დადებული, თორემ გერმანია ბოლგარიის საქმისათვის ამ ჟამად თავს არ აიტკივებდაო. რუსეთი ისე მოიქცევა ეგვიპტის საქმის გადაწყვეტაში, როგორც ჩვენ ბოლგარიისაშიაო: თუ ინგლისი ბოლგარიის საქმის დაბოლოვების დროს რუსეთისკენ გადიხარა, ძნელად მაშინ თუ რუსეთმა დიდი წინააღმდეგობა გამოუცხადოს ინგლისისა და ოსმალეთის შორის ეგვიპტის საქმის გამო ხელ-შეკრულობასაო.

— ამავე გაზეთსა სწერენ ვენიდამ, ვითომ რიზა-ბეიმ, ოსმალეთის წარმომადგენელმა სოფიაში, აცნობა სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას: შეიძლება ოსმალეთი იძულებულ იქმნას სამსახურიდგან გადადგომა გთხოვოთ, რომ მით უფრო გაადვილებულ იქმნეს ბოლგარიის გამწვავებულის საქმის გადაწყვეტაო.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ 17 მაისიდგან გაზ. „Neue Freie Presse“-ს: ხანდო კაცებისაგან შევიტყეთ, რომ ოსმალეთს ნება დაურთავს ბოლგარიის მთავრობისათვის, მისი ორი კანდიდატი კანონიერ ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატებად გამოცხადნენ და მათი სახელები დიდ სახელმწიფოთ აუწყოს კიდეცაო.

— „Journal des Dèbats“-ის ვენელი კორრესპონდენტი სწერს, რომ ბოლგარიის წარმომადგენელნი მოურიგდნენ „Länderbank“-ს სესხის თაობაზედ და პირობის წერილზე ხელიც მოაწერესო. გეშოვი და სტრანსკი სოფიაშივე უნდა დაბრუნდნენო.

— ვენაშივე ხმა გაუვრცელებიათ, ვითომ პრინცი ალექსანდრე ბატტენბერგი დაჰპირებია პოპოვს, რომ უეჭველად დავბრუნდები ისევ ბოლგარიაშიო.

* * *

გერმანია. ამ ბოლოს დროს გაზეთებს დიდი ლაპარაკი და ბაასი ჰქონდათ იმის გამო, რომ სამს იმპერატორს დიდთა სახელმწიფოებისას განზრახვა აქვთ ერთმანერთი ნახონ, დაუახლოვდნენ ერთმანერთს და დაუკავშირდნენო. აი ამის გამოვე რას ამბობს გაზ. „Standard“-ის ბერლინელი კორრესპონდენტი: გერმანიის იმპერატორს ნამდვილად ჰსურს რუსეთის იმპერატორის ნახვა და, როგორც ისმის, არც რუსეთის იმპერატორია ამასი წინააღმდეგიო. გერმანიის იმპერატორს სურს აგრეთვე, რომ ამ იმპერატორთა ერთად შეხვედრასა და ნახვას ავსტრიის იმპერატორიც დაესწროს, მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, მაინც კიდევ შესაძლებელია გერმანიისა და რუსეთის იმპერატორებმა ინახულონ ერთმანერთი და თუ ამ დროს მოლაპარაკება დაიწყეს კავშირსა და დაახლოვებაზედ, გერმანიის იმპერატორი აგრეთვე ავსტრიის წარმომადგენლად იქნებაო და ავსტრიის იმპერატორის მაგიერობასა და მოადგილეობას აასრულებსო.

— გერმანიის გაზეთები დიდის მტრულის თვალით უყურებენ ინგლისის ყოველს განზრახვასა და სურვილს. მაგალითებრ, „Kölnische Zeitung“-ი თავის მეთაურ წერილში ინგლისს პირდაპირ იმ ბრალსა სდებს, რომ ინგლისს სურს, რომ გერმანია და საფრანგეთი და აგრეთვე გერმანია და რუსეთი ერთმანერთზე გადაკიდებულნი იყვნენ და ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ ამ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობა არ ჩამოვარდესო. მართლაც და საფრანგეთს გარდა ინგლისს ერთად-ერთი მტერი რუსეთი ჰყავს და რუსეთის მხრივ დიდი სიფრთხილე ჰმართებს ინგლისს თითქმის შუა-აზიიდგან ამურამდე და ამიტომ ჰცდილობს ინგლისი, რომ რუსეთი და გერმანია გადაკიდებულნი იყვნენ ერთმანერთზეო. ინგლისი მხოლოდ მაშინ დამშვიდდება და გულს გულის ალაგს დაიყენებს, როცა რუსეთი და გერმანია ოფიციალურად გამოუცხადებენ ერთმანერთს ომსა და აი სწორედ ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისის ჟურნალ-გაზეთობას გული აუტოკდებათ ხოლმე, გაიგებენ თუ არა, რომ სამ დიდ სახელმწიფოს ერთმანერთთან კავშირი და მეგობრობა განუზრახავთო. ლონდონის გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთის უკანასკნელმა კანონმა, რომლითაც დიდად შეზღუდულ იქმნა რუსეთში უცხო სახელმწიფოს მამულთ-მეპატრონე ქვეშევრდომთა უფლებანი, დიდად დააშორა რუსეთი და გერმანია ერთმანერთის მეგობრობისაგანაო. ამასთანა უბრალო გარემოება ამ ორ დიდ სახელმწიფოს ვერ გადაამტერებს ერთმანერთს და თუ ეხლა ესენი ვერა რიგდებიან, ამისი უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი იფარება სიტყვაში „ავსტრია“-ო.

* * *

ინგლისი. პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Indépendance Belge“-ს: ეხლა ნამდვილად შეგვიძლიან გითხრათ, რომ ავღანის საზღვრების გამმიჯნელი ინგლის-რუსეთის კომისიამ თავისი მოქმედება შეაჩერაო. როგორც შევიტყეთ, უმთავრესი ინგლისის დელეგატი, რომელიც სულ რამდენისამე დღით წავიდა პეტერბურგიდგან, აღარ დაბრუნდება თურმე უკანვე. ამ კომისიის მოქმედების შეჩერების მიზეზი ის არის, რომ ამ ჟამად ემირი ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაშია, მეამბოხენი სრულიად ამარცხებენ ემირის ჯარს ასე, რომ ეს ჯარი გაფანტულია და ემირს ჯარის-კაცნი ვეღარ შეუკრებია და ერთს ალაგას ვეღარ მოუყრია მათთვის თავიო.

— ლონდონიდგან დეპეშით აუწყებენ ზემოხსენებულსავე გაზეთს, რომ ინგლისსა და ოსმალეთს ჯერ ოფიციალურად არ გაუგზავნიათ სრულად თავიანთის ეგვიპტის საქმის თაობაზედ პირობის წერილის შინაარსი დიდთა სახელმწიფოთათვის. თვით ხელ-შეკრულობის წერილის შინაარსი-კი გამოეცხადათ დიდთა სახელმწიფოთ ოფიციალურად, ხოლო ამ წერილს კიდევ სხვა დამატებითი მუხლნი აქვს, რომლებსაც ეს სახელმწიფონი ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახავენო. ეს დამატება პირობის წერილისა უეჭველია დიდად საყურადღებო და საინტერესო უნდა იყოს, რადგან ამ დამატებაში მოხსენებულია ყველა ის, თუ რა პირობითაც დაიყოლია ინგლისმა ოსმალეთი ეგვიპტის დათმობაზეო. ეს დამატება ორის მუხლისაგან უნდა შესდგებოდეს, რომლითაც ინგლისი ოსმალეთს უნდა უთმობდეს ან ეგვიპტის ხარჯსა და ან კუნძულ კიპრის ხარჯსა, რიცხვით 40,000,000 მანეთამდეო. უეჭველია ამ წინადადებამ ვოლფისამ შეაცდინა სულთანი და თანხმობა გამოაცხადებინა იმისთანა ახირებულ პირობის წერილის შეკვრაზეო. ამასთან ისიც უეჭველია, რომ ევროპა მოინდომებს ამ პირობის წერილის დამატებითის გაცნობასაც და შემდეგ ისე წარმოსთქვამს თავის აზრს ეგვიპტის საქმის შესახებ ოსმალეთისა და ინგლისის შორის პირობის წერილის დამტკიცებაზეო.

* * *

ავსტრი-ვენგრია. ხმა გაუვრცელებიათ ვენაში, რომ გრაფ კალნოკის განზრახვა აქვს ეგვიპტის საქმის დაბოლოვების თაობაზედ ინგლისისა და ოსმალეთის შორის პირობის დამტკიცებას წინააღმდეგობა გამოუცხადოსო.

* * *

ოსმალეთი. ვენიდგანვე სწერენ გაზ. „République Française“-ს, რომ სულთანი თან-და-თან უფრო შორს უდგება იმ პირობის წერილის დამტკიცებასა და ხელ-მოწერას, რომელიც ინგლისმა წარუდგინა ეგვიპტის საქმის გადასაწყვეტადაო. ამის მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთის მაჰმადიანი სამღვდელოება დიდი წინააღმდეგია ამ პირობის წერილის დამტკიცებისა და სულთანს ჰკიცხავენ, რომ არა მართლ-მორწმუნე სახელმწიფოს არავითარმე შეხი უფლება მაჰმადიანთა მიწა-წყალზედ არ უნდა დაუთმო ხოლმეო.

სასამართლოს მატიანე

(საკუთარის მოამბისაგან)

მაისის 30 და 31-ში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია ქ. გორში თ. ვ. თაქთაქიშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ტფილისის მოქალაქის მიხეილ ბექანოვის მძიმედ ცემა და ამისა გამო სიკვდილი. ვ. თ—თან ერთად ამავე საქმეში ბრალი ედებოდათ ქვემო-ხეითის მცხოვრებ გლეხებს, დროებით ვალდებულებს. ეს გლეხები არიან: ურჯუმელაშვილი, გიგო და გიორგი ნიკუჭაძეები და მეოთხე ბითაძე, რომელიც საპყრობილეში გარდაიცვალა. ბექანოვის გალახვა მოხდა შარშან, თიბათვის ორს, დაბა ცხინვალში, რომელიც გორიდამ 30 ვერსის მანძილზეა. ბექანოვის ფული ჰმართებია ვ. თ—სა და მისულა მამულის ასაწერად, თუმცა-კი სენატში ჯერ საქმე არა ყოფილა გათავებული. უთხოვნია თ—სა, რომ ბექანოვს მოეცადნა, ედროვებინა იქნობამდე, ვიდრე სენატი გაათავებდეს საქმესა. მაგრამ ბექანოვს არ უნებებია, მისულა და აი ეს სამწუხარო ამბავი დაბადებულა. ამ ამბავმა, როგორც ვიცით, აალაპარაკა მთელი ს—ბა გორისა და ტფილისისა: მიაწერეს ამ ამბავს სხვა აზრი, გაჰბერეს, გააზვიადეს; დატრიალდნენ ნათესავები და ნაცნობები განსვენებულის ბექანოვისა, დააჯერეს ყველა მოსამართლე თუ არა-მოსამართლე, დიდი თუ პატარა, რომ ვითომ ქართველები სდევნიან ს—ბს და უნდათ ჩვენი გაწყვეტაო; რომ თ—მა წინადვე იცოდა ბექანოვის მოსვლა ცხინვალში, მოემზადა და წინად განზრახულის აზრით სცემა მძიმედ და ამის გამო ბექანოვი მოკვდაო. ეს საქმე პირველად გამოიძია მაშინდელმა ცხინვალის გამომძიებელმა ბ-ნ მ. სარაჯიშვილმა, მაგრამ მოწინააღმდეგე დასის მეცადინეობით ბ-ნ სარაჯიშვილის გამოძიება მოშალეს და ახლად მიანდეს გორის სასამართლოს გამომძიებელს ბ-ნ ტერ-სტეფანოვსა. როგორც გამოძიებამ, ისე ბრალმდებელმა (პროკურორმა) თავის ბრალმდებელს ოქმში, დაასკვნეს, რომ მძიმედ სცემეს და მოჰკლეს ბექანოვი წინად-განზრახულის აზრით და ამის გამო გაუჩინეს თ—ეს და გლეხებს „კატორგა“.

ხალხის ღაღადისსა და გოდებას ბანი მისცა ადგილობრივმა გაზეთმა „ახალმა მიმოხილვამ“, რომელმაც ქვა და გუნდა მოგვაყარა ყველას. მაგრამ იგივე გაზეთი გაჩუმდა, კრინტი არ დასძრა, როცა, ამას წინად, „აღმოსავლეთის ბარბაროსმა“-კი არა, ევროპელმა მუშტი იხმარა და მიტყეპა ერთი დიდ თვალ-საჩინო ევროპელი.—აი ასეთი გაზვიადებული საქმე ირჩეოდა ქ. გორში. მაგრამ როგორც სწევმს, ისე არა ჰქუხსო; საზოგადო აზრმა, ასე გასინჯეთ „დასტამბულმა სიტყვამაც“, აქლემს რწყილი აშობინეს, რწყილს აქლემი, მაგრამ—ვიმეორებთ—გაზვიადებული საქმე უბრალო გამოდგა; გამოდგა, რომ აქლემს მხოლოდ აქლემისავე შობვა შეუძლიან და რწყილს რწყილისა. გასაკვირველი არ არის ამიტომ ის გარემოება, რომ სასამართლოს დარბაზში ტევა არ იყო ხალხისა,—ბილეთების შოვნაზე თავების მტვრევა იყო,—და ორის დღის განმავლობაში ქუჩებში ხალხის ბრბო იდგა. ყურთა სმენა აღარ იყო ქუჩიდამ ხალხისაგან, რომელსაც პოლიცია ძლივს იკავებდა.

ამ დღეს თავ-მჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს წევრი ჟუკოვსკი და წევრების მაგივრად იყვნენ გორის მოსამართლე ბუტენკო და მოსამართლის თანაშემწე პაშკოვი. ბრალმდებლად ბრძანდებოდა უფროსის ბრალმდებელის თანაშემწე ფონ-სტალი. ბექანოვის მხრივ ხარჯების მეძიებლად იყო ნაქები ვექილი ბ-ნი სტეფანოვი; თაქ—ს იცავდა ოპოჩინინი და გლეხებს—ტურკევიჩი.

წინაპირველად წესისამებრ წაიკითხეს გამოძიება, საბრალმდებელო ოქმი და შემდეგ შეუდგნენ მოწმების გამოკითხვასა.

მოწამე მარტიროზოვი. ამის გამოკითხვას სრული ორი საათი მოუნდნენ; დასტანჯა თავისი თავიცა და მოსამართლეებიცა; ბევრის წვალებისა და ტანჯვის შემდეგ გაიგეთ, რომ ის გაჰყვა ბექანოვს დაბა ცხინვალში, აქედამ უნდა წასულიყვნენ ქვემო-ხეითში თაქთაქიშვილის მამულის ასაწერადა. ბექანოვმა სთქვაო, რომ ცოლის საცვლებსაც-კი ავწერამო, მის სახლის აგურებს ტფილისში ჩავიტანო. ორს თიბათვეს მე მელქუევის დუქანში ვსაუზმობდი; სამნი ვიყავით: მე, გიორგი ბაგრატიონ-დავიდოვი და მედუქნე მელქუევი; ბექანოვი დუქნის წინ იჯდა სკამზედა; დუქნის კარებიდამ დავინახე, რომ თ—ი სცემდა ბექანოვს; მერე გლეხებმა სცემეს იმის ბრძანებითა. მე შემეშინდა და დახლში დავიმალე; როცა წავიდნენ, მხოლოდ მაშინ გამოველი გარედა.

ყასაბიშვილი, მელქუევის მებაღე. მე არა მინახავს-რა. წინა დღით საღამოთი მოველ ბაღიდამ დუქანში და ვნახე, რომ ბექანოვი და მარტიროზოვი დილიჯანით მოვიდნენ და ჩემის ალის დუქანში ჩამოხტნენ.

მედუქნე მელქუევი (იგივე დარიბაშვილი). ბექანოვი ჩემს დუქანში ჩამოხტა, თან მარტიროზოვი ჰყვანდა; ბექანოვს ქოლგა ჰქონდა; უსანეთობა დღესა, თიბათვის 2-ს, ბექანოვი დუქნის კარებზე იჯდა სკამზე. მე დახლში ვიდექი, მუშტარი მყავდა, რადგან უქმე დღე იყო. ათი საათი იქნებოდა, რომ დუქანში შემოვიდა თ. ბაგრ.-დავიდოვი; მარტიროზოვიც დახლთან იდგა; ჩვენ ღვინოს დაუწყეთ სმა; ამ დროს გარედ წოჩქოლი და ხმაურობა ჩამოვარდა; ჯოხებს იქნევდნენ გლეხები, თა—ს ხელში ჯოხი არ დამინახავს; მე ძრიელ შემეშინდა და დახლში მივიკუნჭე; შემდეგ გამოვედი და ვნახე, რომ ბექანოვი დედამიწაზე ეგდო ნაცემი. ავიყვანეთ თავის ოთახში და ექიმისათვის ბიჭი გავგზავნეთ. ჯოხს რომელი სცემდა, ვისის დაკვრით წაიქცა, არ დამინახავს.

თ. ბაგრატიონ-დავიდოვი. მე ბექანოვთან ნათელ-მირონობა მაქვს, იმის დაბარებით აველ სოფ. ფხვენისიდამ ცხინვალში. ვნახე ბე—ვიც. სასამართლოს ბოქაული უნდა გვენახა, მაგრამ შინ არ იყო. მოვედით დუქანში; ბექანოვი გარედ დაჯდა გრძელს სკამზე. მე, მელქუევი და მარტიროზოვი ღვინოსა ვსვამდით. ამ დროს ხმაურობა შემომესმა, კარზე გამოველ და დავინახე, რომ ბექანოვსა სცემდნენ. თ—ი გავაჩერე, იქით მივაყენე და მერე გლეხები გავაჩერე. თ—მა დაიძახა: «თავში არ დაარტყათ, თავშიო». ბექანოვი სკამიდამ გადავარდა და მარცხენა გვერდი დაარტყა. თ—ს თვალთან ჰქონდა გაფხაჭნილი; თ—ის ხელში ჯოხი არ მინახავს. წინად ამავე მოწამემ ასე თურმე უჩვენა ბ-ნ სარაჯოვსა: თ—ი დუქანში შემოვიდა, მარტიროზოვმა თ—ს ყურში რაღაც წასჩურჩულა. ის გაფითრდა, ავნთო, გარედ გამოვიდა, ბე—ს ლაპარაკი დაუწყო; შემდეგ ხმა მაღლა შეექმნათ ლაპარაკი და ჩხუბი გაჩაღდა. ამავე მოწამეს წაუკითხეს ჩვენება, რომელიც მეორე გამომძიებელმა ტერ-სტეფანოვმა ჩამოართვა. ეს ჩვენება ასე იწყებოდა: მე თ—ს რიდი და კრძალვა მქონდა, მეშინოდა და სარაჯოვთან მართალი ვერა ვსთქვი და ეხლა მართალს გაჩვენებთ... ბოლოს ამბობს: ვასილ თაქთაქიშვილმა მთხოვა, რომ ჩემ სასარგებლოდ აჩვენეო, უთხარი, რომ ჯოხი არა მჭერია და რომ მარტიროზოვმა მიჩურჩულაო. ეს ორი პირველი და უკანასკნელი თვისი ჩვენება უარ-ჰყო მოწამემ: მე არ მითქვამს, ეს თვით გამომძიებელს ჩაუმატებიაო.

მურადოვი. ბექანოვი იჯდა დუქნის წინ გამოწეულ კედელთან; მე ჩემის დუქნის წინ ვტრიალებდი; დავინახე რომ თ—ი ელაპარაკებოდა ბე—ვსა; ბოლოს ხმა-მაღალი ლაპარაკი შეექმნათ. თ—მა სახრე გაუქნია ისე, რომ თუ მოხვედრა იყო, გულში უნდა მოხვედრიყო. ბექანოვმა წამოიწია; გლეხებმა დაჰკრეს, ბექანოვი გადავარდა სკამიდგან და მარცხნივ კედლის კუთხესთან დაეცა.

ექიმი მიხაილოვი. მე როცა მივედ, ბექანოვი სრულს გონებაზე იყო; თავი ჰქონდა გატეხილი; მითხრა, რომ ვასილ თაქთაქიშვილმა გამლახაო. თ—ს სახე გაფხაჭნილი ჰქონდა, შეიძლება ჯოხის წვერი მოხვედროდა.

კასრაძე. მე, ხმაურობა რომ შემომესმა, დავინახე: ბექანოვს სცემდნენ. თ—ი ხიდისაკენ მიდიოდა და უძახდა გლეხებს: «კარგი ნუ სცემთ, ნუ ჰკლავთ მაგ კაცსაო». რამდენნი სცემდნენ, არ ვიცი; გამომძიებლის ტერ-სტე—ვისათვის არ მიჩვენებია, რომ ორნი სცემდნენო.

იხაკვი. მე დუქანს ახლო ვიდექი; თაქთაქ—ვი და ბექანოვი მელქუევის დუქნის წინ ლაპარაკობდნენ. პატარა ხანს ხმა მაღლა დაიწყეს ლაპარაკი. ბექანოვმა თითის ქნევით და მუქარის კილოთი უთხრა თა—ს: „თვალებს

დაგჩიჩქნი, თვალებსა და ისე გადაგახდევინებო!“ თ—შვილმა სახრე გადაარტყა ბეჭებში; ბექანოვმა ჯოხი ატაკა სახეში; თ შვილს სისხლი ჩამოედინა სახეზედ; შემდეგ გლეხები შემოეხვივნენ და ცემა დაუწყეს; ამ დროს ბექანოვს სკამი გადუკორიკდა, გადავარდა და თავი დაჰკრა.

მღვდელი ტერ-სააკ ხახანოვი. მე წამიყვანეს გალახულს ბექანოვთან; მახსოვს ასე სთქვა, რომ თავში დამარტყა თ—მაო. სწორედ არა მახსოვს-რა; დამტკიცებით თქმა არაფრისა არ შემიძლიან. მეხსიერება არ მივარგა და კარგად აღარ მახსოვს, რაც ბექანოვმა მითხრა. მე როცა მივედი, გონებაზე იყო; პირველს საათზე დაჰკარგა ცნობა.

(შემდეგი იქნება)

ღვთაების ეკკლესია თელავში

(გარდმოცემა ამ ეკკლესის შესახებ)

თელავის შუა-გულ მთაზე, რომელსაც თ. ყორჩიბაშაანთ მთას ეძახიან, გაშენებულია ძველი ციხე-გალავანი ბურჯებით. უეჭველია, ეს ციხე-გალავანი იმავე სამსახურს უწევდა თელავის მცხოვრებთ უწინდელ შიშიანობის დროს, როგორც საზოგადოდ ყველა ციხე-გალავანნი. ამ გალავნის შიგნით არის ახლად გაკეთებული პატარა გალავანი, რომელსაც ხალხი უწოდებს ღვთაების გალავანს. ამ გვარი სახელი, რასაკვირველია, ხალხს მისთვის უწოდებია გალავნისათვის, რომ იგი თვით ღვთაების ტაძარსა აქვს გარშემორტყმული. მართალია, ეკკლესიის გალავანი ახალია, მაგრამ თვით ეკკლესია-კი კარგა ხნისაა და, ვინ იცის, თელავის და თვით კახეთის არა ერთის და ორის დაწიოკებაოხრების მოწამეც არის...

ეკკლესიის შენობა კარგა დიდია. მარჯვენა კუთხეში ასვენია ღვთაების ხატი. ხატი კარგად მოზდილია და ნათელი თავზედ ძვირფასის ქვებითა აქვს მოჭედილი. როგორ იპოვნეს ეს ხატი და თვით ეკკლესია როგორ აშენდა, ამას შესახებ დღემდის დარჩენილია შემდეგი გარდმოცემა.

იმ ადგილას, სადაც დღეს ეკკლესიაა აშენებული, უწინ საშინელი უღრანი ტყე ყოფილა. ტყეში მეტად მრავალი ნადირი სცოდნია, ასე რომ მახლობელ სოფლის თავად-აზნაურნი და საზოგადოდ მონადირენი თითქმის სულ ამ ტყეში ნადირობდნენ თურმე. ყველაზე ძლიერ-კი თურმე უყვარა ერთს თავადს რუსიშვილს ჴუყარების ამ ტყეში ნადირობა. ერთს დღეს ჩვეულებისამებრ თ. რუსიშვილი ამოსულა ტყეში სანადიროდ. ნადირობა თურმე მეტად მარჯვედ მისდიოდა და ისე გაეტაცნა, რომ შეუმჩნეველად ტყეში დაჰღამებოდა. ბინდისას, როცა კარგად ეჯერა გული ნადირობით, მოინდომა შინ დაბრუნება, მაგრამ ნანადირევის წაღება ღამე უცხენოდ შეუძლებელი იყო და ტყეშიაც დატოვება უპატრონოდ არ შეიძლებოდა. მეტი ღონე არ იყო, მონადირე იმ ღამეს ტყეში უნდა დარჩენილიყო. რუსიშვილს და ერთს მის მსახურს, რომელიც თან ჰყოლოდა, ცაცხვიანში *) გაეჩაღებინათ ცეცხლი.

ნანადირევის ხელ-და-ხელი ვახშამი ეჭამნათ ბატონსა და მსახურს და დღის ნადირობისაგან დაღალულთ ტკბილად დაძინებოდათ. თ. რუსიშვილს ძილში გამოსცხადებოდა მოხუცი კაცი და ეთქვა: „ადექ და მოსთხარე მიწა სწორედ იმ ადგილას, სადაც სწევხარ. ეს ადგილი წმინდაა. მიწაში მისი გამოქვაბულია, სადაც ასვენია ღვთაების ხატი. შენ თანამომმეთ გარდაეცი, რომ წმინდანი მიწაში არ ამყოფონ, აუშენონ შესაფერი ეკკლესია და თავის შესაფერს ადგილას დაასვენონ ხატი. რუსიშვილს გამოჰღვიძებოდა თუ არა, აეყენებინა მსახურიც. მსახური ნანადირევის საყარაულოდ დაეტოვებინა ტყეშივე და თვითონ წამოსულიყო შინ. მოსვლისათანავე მოხუც დედისთვის ეამბნა სიზმარი. მეორე თუ მესამე დღეს მოხუცი რუსიშვილისა ორი მსახურით წასულიყო ფეხით ტყეში ღვთაების ხატის სამებნელად. მთელი ორი დღე თურმე თხარა ორმა კაცმა ნაჩვენებ ადგილას მიწა. მესამე დღეს მისდგომოდნენ გამოქვაბულს. ერთი მთხრელი საჩქაროდ ამოსულიყო თხრილიდგან და შორი-ახლოს ჩრდილის ქვეშ მჯდომ ქალბატონისთვის მოეხსენებინა.

— ქალბატონო, ხატი ვიპოვეთ!

გახარებული მოხუცი საჩქაროდ წამომდგარა ფეხზე.

— აი, წამობძანდით და თვითონ იხილეთ. მსახური და ქალბატონი მისულიყვნენ გამოქვაბულთან, სადაც ესვენა ხატი. ხატს წინ პატარა შანდალში ორი წმინდა სანთელი ენთო. მოხუცს მოწიწებით ეცა თაყვანი ხატისათვის, მიეფარებინა გამოქვაბულის კარისთვის სიპი ქვა და დაბრუნებულიყო სოფელში. მოხუცებულს რუსიშვილს ერთს თთვეზედ აეშენებინა გამოქვაბულის თავზედ ფიცრის პატარა ეკკლესია და ხატიც ამ ეკკლესიაში ამოესვენებინა.

ეს ამბავი მალე შეეტყოთ ახლო-მახლო სოფლელებს და აურიცხელ ხალხს დაეწყო აქ სიარული სალოცავად. სოფლელებს მალე ფულიც მოეგროვებინათ და დღევანდელი ეკკლესია აეშენებინათ.

ეკკლესიის აშენებისათანავე თ. რუსიშვილებს გადაეკაფნათ გარშემო ტყე, თავიანთ სოფლებისათვის სრულიად დაენებებინათ თავი და გადმოსახლებულიყვნენ აქ, სადაც დღესაც სცხოვრობენ.

ი. კახელი

---

*) ეკკლესიის გალავანში ცაცხვის ხეები ეხლაც არის.

დეპეშა

8 ივნისი

ვენა. როგორც ამბობენ აქაური გაზეთები, გუშინ შუადამისას დუნასერდაგელისში, ვენგრიაში, არჩევანების მიზეზით ებრაელთ უბანს ცეცხლი წაუკიდეს. 80 ოჯახი ებრაელთა ძლივს გადარჩა ცოცხალი, მაგრამ ყოველივე ქონება-კი დაეღუპათ. იმათი ყოფა მეტად შესაბრალისია.

9 ივნისი

პეტერბურგი. „Journal de St-Pétersbourg“-ს დედოფალი ვიკტორიის ორმოც-და-ათის წლის იუბილეის გამო ამბობს, რომ ყველა განათლებულნი ერნი თავის მხრივაც ინგლისელებთან ერთად ულოცავენო მოხუც დედოფალს ორმოც-და-ათის წლის დღეობასაო. და ამასთან ნატრობს, რომ დედოფალი კიდევ დიდ ხანს იყოს ბედნიერის ერის მეფედ განათლების კეთილდღეობისა და მშვიდობიანობის დასაცველად ამ ერის შორისო.

ლონდონი. დედოფალმა უბოძა დიდს მთავარს სერგეი ალექსანდრეს ძეს პირველის ხარისხის ორდენი «ბანი». გუშინ დედოფალი მოვიდა ვინძორიდამ ლონდონში საიუბილეიო დღესასწაულებზე და დიდის აღტაცებით იქმნა მიღებული მკვიდრთა მიერ.

პეტერბურგის ბირჟა, 5-ს ივნისს ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— ›	— ›	9 13
ტამოჟნის კუპონები	— ›	— ›	176¾
მანათიანი ვერცხლის ფული,	— ›	— ›	1 29
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ›	264	— ›
— მეორისა	— ›	243	— ›
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	98½	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა	97¼	— ›	— ›
ტფილისის ს ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	83¾

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	3 ›
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	5 ›
მე-2 ხარისხისა	4 ›
მე-3 —	› ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი.	13 ›
ცხვრის ხორცი	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	› ›
› 2 ›	› ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმასა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	49	ბათუმი	—	—	8	4
ავჭალა	9	9	9	11	ქობულეთი	8	54	8	57
მცხეთა	9	32	9	40	ნატანები	9	25	9	29
ქსანი	10	3	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი	10	33	10	36	ლანჩხუთი	10	35	10	39
გრაკალი	10	59	11	1	ნიგოითი	10	51	10	53
გორი	11	25	11	40	საჯავახო	11	14	11	16
ქარელი	12	8	12	11	**სამტრედია**	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი	12	13	12	16
ხაშური	1	2	1	17	რიონი	12	47	1	2
სურამი	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი	2	—	2	3	**ყვირილა**	1	58	2	10
ბეჟათუბანი	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი	3	45	3	48	ბელაგორი	3	17	3	20
ბელაგორი	4	15	4	18	მარელისი	3	47	3	49
ძირულა	4	45	4	48	**ბეჟათუბანი**	4	18	4	37
ყვირილა	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	**ხაშური**	6	17	6	32
კოპიტნარი	7	08	7	10	გომი	6	50	6	54
სამტრედია	7	29	7	49	ქარელი	7	16	7	19
საჯავახო	8	5	8	7	**გორი**	7	44	7	54
ნიგოითი	8	27	8	30	გრაკალი	8	15	8	17
ლანჩხუთი	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა	9	19	9	27	ქსანი	9	7	9	9
ნატანები	9	52	9	55	მცხეთა	9	28	9	34
ქობულეთი	10	22	10	25	ავჭალა	9	52	9	54
ბათუმი	11	13	—	—	**ტფილისი**	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	21	სურამი	—	—	2	59
ავჭალა	3	46	3	49	**ხაშური**	3	11	3	27
მცხეთა	4	19	4	25	გომი	3	50	3	55
ქსანი	4	49	4	52	ქარელი	4	24	4	31
კასპი	5	24	5	29	**გორი**	5	4	5	19
გრაკალი	6	—	6	3	გრაკალი	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი	6	31	6	45	კასპი	6	18	6	24
ქარელი	7	18	7	24	ქსანი	6	55	6	59
გომი	7	53	8	1	მცხეთა	7	24	7	32
ხაშური	8	24	8	38	ავჭალა	7	55	7	58
სურამი	8	50	—	—	**ტფილისი**	8	24	—	—

კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

ქართველი მწერლები

II

დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სქოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—7)

გაზეთ „თეატრი“-ს რედაქციისაგან

ჩვენ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენის გაზეთის პროგრამა, შევცვალოთ №№ გამოსვლის ვადა და გაზეთის ფასი. ამაზედ თხოვნა „თეატრი“-ს რედაქციამ უკვე შეიტანა და მიზეზი ეს არის ამ ჟამად გაზეთის გამოუსვლელობისა.

ამაზედ აქამდისაც ვაუწყებდით ბბ-თ ხელის-მომწერელთ, მაგრამ სხვა-და-სხვა საპატიო მიზეზთა გამო ვერ გამოვაცხადეთ ვერც ჩვენსა და ვერც სხვა გაზეთებში.

ბბ-თ ხელის-მომწერელთ, ვისაც ფული აქვთ შემოტანილი, შეუსრულდებათ დაკლებული №№-ბი.

გაზეთის გამოსვლას, როცა ნებართვა მოგვივა გაზეთის პროგრამის შეცვლისა, წინადვე გამოვაცხადებთ „ივერიასა“ და სხვა გაზეთებში. (3—3)

ქალაქ ბათუმში

გაგზალის მახლობლად ახლად გაგადე

მებლიროვანი ოთახები

„ვენეცია“

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიძვირე არის, მაქვს №№-ბი სუფთად მოწყობილი დღეში 50 კაპეიკიდამ 1½ მანათამდე. თთვეობით 10 მანათიდამ 30 მანათამდის. საჭმელებს ვაკეთებინებ, ვინც რას ისურვებს. უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ.

ოთახების პატრონი იოანე ლოლუა

(10—10)

Дозв. цен. Тиф. 9 іюня, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე